

ქართველ ებრაელთა თემისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობების უცნობი დეტალები მიკელე მემბრეს (XVI ს.) ცნობების მიხედვით

წინამდებარე სტატია ეძღვნება კვიპროსელი ვენეციელის, მიკელე მემბრეს, რელაციის ერთი კონკრეტული ცნობის ანალიზს. მისი თხზულების სოლიდური ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ნათარგმნი და ანტიოსმალური კოალიციის ჭრილში მეცნიერულად შესწავლილი, წარმოდგენილი გვაქვს მონოგრაფიაში – „საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“.¹ იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული რელაცია, ძირითადი სამიზნის გარდა,² ძალიან საინტერესო ეთნოლოგიურ მასალას შეიცავს და, ევროპა-აღმოსავლეთის ურთიერთობის კონტექსტში, საქართველოს შესახებ ზოგიერთი ფაქტის დაზუსტების ან ახალი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას იძლევა, მათ შორის, ქართულ-ებრაული თანაცხოვრების შესახებაც.

მემბრემ საქართველოში თავად იმოგზაურა³ და ქვეყნის მდგომარეობა საკმაოდ დეტალურად აღწერა. მას, როგორც თვითმხილველს, საინტერესო ცნობები მოეპოვება საქართველოს ქალაქებზე, სხვადასხვა კუთხის ქართველებსა და აქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსზე, სამიმოსვლო-საკომუნიკაციო საშუალებებზე, ეკონომიკურ გეოგრაფიასა და სავაჭრო ოპერაციებზე, ქვეყნის სამხედრო პოტენციალზე, მოსახლეობის სტრუქტურასა და ყოფით ტრადიციებზე; ამავდროულად, მკაფიო მინიშნებებს აკეთებს გვიან შუა საუკუნეებში შავიზღვისპირეთში გავრცელებულ მონებით ვაჭრობის მანიკერ პრაქტიკაზე, რომელმაც ოსმალების გაძლიერების პირობებში მეტი გაქანება შეიძინა.⁴

ავტორი მახვილი თვალის მქონე, ნეიტრალური დამკვირვებელია, რომელიც ნანახის სკრუპულოზურ აღწერას უფრო გვთავაზობს, ვიდრე მოვ-

¹ მონოგრაფიას თან დართული აქვს რელაციონის ორი თავი, ჩვენ მიერ თარგმნილი და კომენტირებული, რომლებიც ავტორის საქართველოში მოგზაურობას ეხება (იხ. პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*).

² სეფიანებზე დეტალური ინფორმაციის მოგროვება ვენეციური მმართველი წრეებისთვის, რათა როგორმე დაეთანხმებინათ ოსმალების წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე (ავტ.).

³ ოსმალების წინააღმდეგ კავშირების დასამყარებლად საიდუმლო შიკრიკად გამოგზავნილ მემბრეს მარშრუტის ცვლილებით, შემოვლითი გზით მოუწია ირანში ჩაღწევა. საიდუმლო შიკრიკმა მოინახულა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორია (იხ.: *Membre, Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42*).

⁴ მემბრე, რელაციის ნაწილი (პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 423-442).

ლენების შეფასება-ანალიზს. თუმცა, ვინაიდან რისკიანი და გამჭრიახი აგენტის ინტერესთა სფეროში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტი მოხვდა, მის მიერ მოგროვილი ინფორმაცია საკმაოდ კომპლექსურია. ისევე, როგორც მანამდე, კაფადან¹ ზღვით შემოსული მემბრე საქართველოშიც შენიღბულად, თითქოსდა ბერძენი ვაჭარი იყო, ისე მოგზაურობდა. თავის ანგარიშში მემბრე წერს: „...იქიდან [კაფადან] ჩვენ სულ მოვცურავდით ისე, რომ მინა გვექონდა მხედველობის არეში და 18 თუ 16 დღეში მივაღწიეთ ადგილს, სახელად ანაკლია,² რაც სამეგრელოს მეფის,³ დადიანის ტერიტორიას წარმოადგენს. აქ არის დიდი მდინარე, რომელშიც შედიან გემები, როცა არ არიან დატვირთულები. გემი აღნიშნულ სანაპიროსთან ჩერდება და სხვა გემთან აწყობს ვაჭრობას, ოღონდ ყველაფერი ბარტერზეა (გაცვლა-გამოცვლითაა) – ისინი იღებენ ქსოვილებს და ყიდიან ასევე ქსოვილებს. მეგრელები გემთან თავიანთი ნავებით მოდიან და თითოეულს თავისი ქსოვილის ბოხჩა მოაქვს. ამგვარად წარმართავენ ისინი ვაჭრობას“.

რელაციის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, თუ როგორი იყო XVI საუკუნის ქართული საზოგადოების სტრუქტურა, იდენტობის რა მარკერები ჰქონდათ იმ დროს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის ადამიანებს; ასევე, ადგილობრივ მასალასთან შედარება-შეჯერებით, ქართული დასახლებული პუნქტების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, მათ შორის, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმით ვაჭრობის პუნქტად მოხსენიებული ადგილისაც: „სამეგრელოში მარილი არ მოიპოვება. ტყავი, ცხვრის ბენვი და სხვა საქონელიც არის საკმაოდ ძვირადღირებული. სამეგრელოში მოიპოვება დიდი რაოდენობით ყვითელი ცვილი, სელის/(ტილოს) ძაფი და ზაგემიდან⁴ მოტანილი აბრეშუმი, ასევე ისინი ყიდიან ბევრ მონას. შემდეგ დღეს დაიწყო აღნიშნული გემიდან მარილის ჩამოტვირთვა და ნავებზე დატვირთვა, რომ გაეგზავნათ ბაზრობაზე, რომელიც ამ დღეებში უნდა გამართულიყო ფაზისთან მდებარე ადგილზე, სახელად კულაუროპა. მე ნავეყვი ამ ნავებს იმ ადგილამდე, სადაც ბაზრობა იმართებოდა. ჩვენ ამ ნავებით სულ მივუყვებოდით მდინარეს, რო-

¹ კაფა – სავაჭრო ფაქტორია, დღევ. ქ. თეოდოსია ყირიმში; გენუელთა ხელშია XIII საუკუნიდან და გვიან შუა საუკუნეებში მათ მთავარ სავაჭრო პუნქტად ყალიბდება შავიზღვისპირეთში. XV საუკუნის მიწურულიდან (1470-იანი წლები) მოექცა ოსმალთა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ.

² ტექსტის ორიგინალში ნახსენებია, როგორც არაკლია, თუმცა უეჭველია, რომ იგულისხმება ანაკლია, მდინარე ენგურის შესართავთან (იხ. წიგნი: პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 429-430).

³ რელაციის ავტორი ასე მოიხსენიებს სამეგრელოს მთავარს (იხ. იქვე).

⁴ ძაგემი – ქალაქი/დასახლებული პუნქტი კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისტორიულ ჰერეთში, ამჟამად ბელაქნის რაიონში (იხ. იქვე).

მელსაც ფაზისი ჰქვია, დაახლოებით 8 დღე... ეს ადგილი მდინარე ფაზისის ნაპირასაა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით¹ – წერს მემბრე.

ასეთი დაბა ან სოფელი, სახელწოდებით კულაუროპა, სხვა რომელიმე ქართულ ან უცხოურ წყაროში არ გვხვდება; შესაბამისად, მისი იდენტიფიცირება ჭირს. თუმცა შესაძლებელია, მემბრე მასაც ისეთივე დამახინჯებული ფორმით ასახელებდეს, როგორც იმ ადგილს, სადაც პირველად ფეხი დადგა საქართველოს ტერიტორიაზე – ანაკლიას ის არაკლიად მოიხსენიებს.² ჩნდება კითხვა, აქ სოფელი კულაში³ ხომ არ უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც XVI საუკუნიდან არის ცნობილი, ვაჭრობით განთქმულია და XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულამდე დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ებრაული თემითაა წარმოდგენილი?⁴ კულაუროპას იდენტიფიკაციისთვის ვცადეთ: დაგვედგინა, თუ რომელი ბაზრობები არსებობდა გვიანი შუა საუკუნეების სამეგრელოს/დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე; შეგვედარებინა, ჰგავდა თუ არა ეს დასახლებული პუნქტები მემბრეს მიერ აღწერილს, გაგვერკვია, გეოგრაფიულად სად მდებარეობდა ეს ბაზრობები, რამდენად ახლოს იყო ისინი მის მიერ მოხსენიებულთან და ა. შ. სამეგრელოს არაზღვისპირა ეკონომიკური პუნქტები, ბაზრობების სახელწოდებით, რამდენიმე აქვს მოხსენიებული არქანჯელო ლამბერტის თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“.⁵ ეს თხზულება, თავის მხრივ, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის უძვირფასესი წყაროა, რადგან „ჩვენ არ გავაჩნია სხვა თხზულება, რომელიც ესოდენი სისავსით ასახავდეს ამ ეპოქის საქართველოს, კერძოდ, მისი ერთ-ერთი კუთხის ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს“.⁶ 1654 წელს ნეაპოლში გამოცემულ ე. წ. „სამეგრელოს აღ-

¹ მემბრე, რელაციის ნაწილი (პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 429-430).

² იქვე, გვ. 429.

³ დღევ. კულაში პატარა სოფელია კოლხეთის დაბლობზე, ქ. სამტრედიიდან 5 კმ-ის მანძილზე. ისტორიულ წყაროებში იგი პირველად მოხსენიებულია XVI საუკუნეში. სოფელში იყო მიქელაძეთა საგვარეულო ფეოდალური ციხე-დარბაზი. მრავალი წლის მანძილზე სოფელი კულაში იყო სახლი ქართველ ებრაელთა ყველაზე დიდი თემისა.

⁴ ვახუშტი თავის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია), კონკრეტულად კი, ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“, ვრცლად აღწერს მდინარე რიონს, მის შენაკადებს, იმერეთსა (რაჭა-ლეჩხუმიანად) და სამეგრელოს, აფხაზეთსა და გურიას, თუმცა თუ იმერეთის ტერიტორიაზე ებრაელთა დასახლებებს არაერთგზის ასახელებს, არც სამეგრელოსა და არც დანარჩენი სამთავროების ტერიტორიაზე მათ საერთოდ არ ახსენებს. ამდენად, კულაუროპას იდენტიფიკაციაში ვერ დაგვეხმარა (ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*).

⁵ ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*.

⁶ იქვე, გვ. 3.

წერას¹ თან ახლავს ოდიშის რუკა,² რომელზეც რაიმე ტიპის დასახლებული პუნქტი, სახელწოდებით კ უ ლ ა უ რ ო ჰ ა დატანილი არ არის.

თავის ცნობებში სამეგრელოს შესახებ არქანჯელო ლამბერტი, მემბრეს მსგავსად, საქონლის ყიდვა-გაყიდვის ბარტერულ (ე. წ. გაცვლა-გამოცვლითი ვაჭრობა) ფორმებზე საუბრობს, რასაც პრაქტიკულად იდენტურად აღწერენ შემდეგ სხვა თეატინელი მამებიც;³ კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ ყოველდღიური საჭიროების ნივთებს აქაურები საკუთარ სახლებში ამზადებდნენ, რომ ამ ტიპის საქონლის ყიდვა-გაყიდვისთვის სპეციალური დუქნები და მოედნები არ არსებობდა. თუმცა, გარკვეული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის ადგილებზე საუბრისას ამჯერადაც, მემბრეს მსგავსად, ლამბერტი თურქთა გემებსა და ბაზრობებს ასახელებს: „რაც შეეხება სხვა საგნებს, რომლებიც ჩვეულებრივ საჭიროა ოჯახში, მათ შესაძენად ორი საშუალება აქვთ: ერთი – ბაზრობა, რომელიც იმართება სამეგრელოში და მეორე – თურქთა გემები, რომელნიც ყოველ წელს მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს. ბაზრობა იმართება სამეგრელოში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში ნიფურის ეკლესიასთან, რომელიც ჩვენების ხელშია.“⁴

გარდა ნიფურისა ეკლესიისა, რომელსაც, როგორც ბაზრობის ადგილს, აღწერენ XVII საუკუნეში სამეგრელოში ხანგრძლივად მყოფი თეატინელები (ლამბერტი, ჯუდიჩე) და, აგრეთვე, ჟან შარდენიც, ა. ლამბერტი ასახელებს სამეგრელოს სამთავროს სხვა შიდა ბაზრობებსაც, კერძოდ, ილორს, ბედიასა და კორცხელს. საგულისხმოა შევნიშნოთ, რომ ილორი, ბედია და კორცხელი სა-

¹ სრული სახელი – „აღწერა კოლხიდისა, რომელიც ახლა იწოდება სამეგრელოდ“ (იხ. ბერაძე, *ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით*, გვ. 148).

² ისტორიკოს თ. ბერაძის მოსაზრებით, ეს რუკა ქრ. კასტელის მიერაა გამოხაზული და ამაში არქანჯელო ლამბერტის დიდი წვლილი უნდა მიუძღოდეს, თუმცა მკვლევარი საუბრობს იმ ცდომილებებზეც, რაც მისი აზრით დაუშვა არქანჯელო ლამბერტიმ. თავისი სტატიისთვის თ. ბერაძეს დართული აქვს ლამბერტისეული ოდიშის რუკაც (იხ.: ბერაძე, *ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით*, გვ. 148-155).

³ წინათ კოლხიდაში ფული სრულიად არ იყო ხმარებაში და საქონელს ერთმანეთში ცვლიდნენ... (ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, გვ. 143). დაახლოებით იგივე შეფასებას ვაწყდებით შარდენის აღწერილობაში: სამეგრელოს მთელ ვაჭრობას გაცვლითი ხასიათი აქვს და წარმოებს ბაზრობაზე, რომელიც მონაცვლეობით სხვადასხვა ადგილზე ტარდება; აქ მარაგდებიან ყოველივე აუცილებლობით, ისევე, როგორც სავაჭროებში. საქონელს საქონელში ცვლიან... (შარდენი, *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*, გვ. 124). ...აქ არც ფული აქვთ, ხოლო ყიდვა-გაყიდვა გაცვლითი გზით სწარმოებს... (ჯუდიჩე, *რელაცია საქართველოზე*, გვ. 18).

⁴ ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, გვ. 144. აქვე დავაზუსტებთ, რომ როცა ნიფურის ბაზრობაზე ლამბერტი წერს: „ჩვენების ხელშია“, გულისხმობს იმ ფაქტს, რომ 1634 წელს მთავარმა ლევან II დადიანმა პატრებს სოფ. ნიფურიაში ორი ეკლესია უბოძა, მისცა მიწები, საცხოვრებელი სახლი, მსახურები და ბავშვები გასაწვრთნელად (იხ. ჯუდიჩე, *რელაცია საქართველოზე*, გვ. 6).

ერთოდ დაშორებული არიან მდინარე რიონიდან, რომელსაც მემბრე ნავით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოუყვებოდა და, რომლის საშუალებითაც, მივიდა ე. წ. კულაუროპამდე. ჩნდება კითხვა – ხომ არ შეიძლება ამ ჩამოთვლილი ბაზრობებიდან კულაუროპა შემდეგი საუკუნის ნიფურიასთან დაგვეკავშირებინა, რომელიც, წინა სამისგან განსხვავებით, ამ სახელით არსად გვხვდება თანამედროვეობაში? ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლამბერტის მიერ მოხსენიებული ნიფურიას იდენტიფიცირება შემოგვთავაზა მკვლევარმა თ. ბერაძემ. ის მიიჩნევდა, რომ დასახლება, რომელიც მოყვანილი აქვს ლამბერტის, როგორც სამეგრელოს ტერიტორიაზე მყოფი მისიონერების მთავარი სადგომი და ბაზრობა, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფელი ნიფურონი უნდა ყოფილიყო, რომელიც დღევანდელი სოფ. განარჯია მუხურის ერთი უბანია.¹ ცხადია, ეს გამორიცხავს კულაუროპას ნიფურიასთან გაიგივებას.

კიდევ ერთ მტკიცებულებას, თუ რატომ ვერ იქნება ნიფურია წინა საუკუნის კულაუროპა, რომელიც ზღვის სანაპიროდან სამდინარო გზით 8 დღის სავალზე ანუ დასავლეთ საქართველოს საკმაოდ სიღრმეში იყო, გვაძლევს ჟან შარდენი. თ. ბერაძე მის შესახებ წერს: „შარდენს აღწერილი აქვს თავისი მოგზაურობა ანაკლიიდან მისიონერთა სამყოფელამდე. მგზავრებმა ჯერ ნავით იარეს, შემდეგ კი ფეხით გაუდგნენ გზას და მზის ჩასვლამდე ნიფურიას მიაღწიეს. ანაკლიიდან ნიფურონამდე თხუთმეტ კილომეტრზე მეტი მანძილია, სწორედ იმდენი, რასაც ხანმოკლე დღის განმავლობაში (მგზავრობა ოქტომბრის ბოლოს ხდება) ბარგით გაივლიდა შარდენი“.² როგორც ვხედავთ, ლამბერტისეულ რუკაზე დატანილი პუნქტი, რომელიც ზღვისპირა ზოლშია, ზღვიდან 15-20 კილომეტრით დაშორებულ პუნქტს სავსებით შეესაბამება, თუმცა არანაირად – იმ მანძილსა და დროს, რომელიც აღწერილი აქვს მემბრეს იქამდე მისაღწევად. სატრანსპორტო და სამიმოსვლო საშუალებები კი XVII საუკუნის საქართველოში პრაქტიკულად იგივე იყო, რაც XVI საუკუნეში, ის სრულიად არ შეცვლილა, მით უფრო, იმდენად, რომ წინა საუკუნეში რვა დღის გასავლელ მანძილს შემდეგ საუკუნეში ერთი დღე დასჭირვებოდა.

მემბრეს ტექსტიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ბაზრობა თუმც დადიანის სამფლობელოშია, ასევე ახლოს უნდა იყოს ქ. ქუთაისთან, ვინაიდან, როგორც

¹ „ნიფური მეგრულად ნიფელს ნიშნავს. სახელი ნიფურია [Cippurias] სოფლის სახელის დამახინჯებული ფორმაა. მეგრულში მცენარის სახელიდან გეოგრაფიული სახელი – ონ სუფიქსის დახმარებით იწარმოება, სოფლის სახელი ნიფურონი უნდა ყოფილიყო. დღეს ამ სახელწოდების სოფელი არ არსებობს. ენგურის მარჯვენა ნაპირას, ზღვისპირა ზოლში, სოფ. განარჯია მუხურის ერთ უბანს ნიფურონი ეწოდება, ამ სოფელში შემონახული იყო ზარები ლათინური წარწერით, რომელთაც იტალიელ მისიონერებს უკავშირებდნენ“ (იხ. ბერაძე, *ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით*, გვ. 150).

² იქვე, გვ. 148-155.

ზემოთ აღვნიშნეთ, მემბრე 8 დღე ნავით მოცურავდა, სანამ კულაუროპას მოაღწევდა; ამის შემდეგ, ასევე მდინარის გზით წამოსული, ქუთაისში დაახლოებით ორ დღეში მისულა: „როგორც კი აღნიშნული ბაზრობა დამთავრდა, მე წამოვედი ტრაპიზონელი ბერძენი ვაჭრის, კალოჯეროს თანხლებით. ჩვენ გადავკვეთეთ აღნიშნული მდინარე ფაზისი ნავით და მივედით იბერიელთა ქალაქ ქუთაისში... გზაზე, რასაც ორდღე-ნახევარი მოვანდომეთ, მივუყვებოდით დაბლობს...“.¹

მართალია, დღევანდელი კულაში რიონის პირას არაა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სარკინიგზო თუ საგზაო სამუშაოების გამო, დროთა განმავლობაში, მდ. რიონმა შედარებით იცვალა კალაპოტი და ის ჩრდილოეთიდან შედარებით სამხრეთით მიედინება. დღეს მდინარე კულაშიდან სამხრეთითაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფ. ვარდციხესთან, საიდანაც დასავლეთის მიმართულებას იღებს, რიონი სოფ. ბაშამდე განიერია, დატოტვილი და მრავალ კუნძულს წარმოშობს; სოფ. ბაშიდან მოყოლებული, განსაკუთრებით, სოფ. საჯავახოს ქვემოთ გაყოლებაზე ბევრია ნამდინარევი ტბა, რომელსაც „წარიონალს“ ეძახიან; გასათვალისწინებელია ისიც, რომ გუმათჰესმა და რიონჰესმა მდინარის კალაპოტის ფორმირებაში ასევე სერიოზული ცვლილებები შეიტანა. ქვემო დინებაზე მდინარე ხელოვნურ ჯებირებშია მოქცეული, ვინაიდან დასავლეთის ქარების დროს რიონი არა თუ ვერ ერთვის ზღვას, არამედ მასზე სანინაალმდეგო დინებაც კი ვითარდება,² კულაში, როგორც წარსულში რიონის სამდინარო მაგისტრალთან ახლომდებარე პუნქტი, რჩება მემბრეს რელაციონში დასახელებული „კულაუროპას“ ყველაზე სავარაუდო ლოკაცია; ამის სასარგებლოდ მეტყველებს ამ ორი სახელწოდების პირველი ნაწილის „კულა“-ს ერთგვარობაც, მით უფრო, რომ მისი გამოჩენა, როგორც დაბისა და სავაჭრო პუნქტისა, უკავშირდება XVI საუკუნეს.³ მეორე, თუმცა ნაკლებ დამაჯერებელ ვერსიად, თუ რომელ დასახლებულ პუნქტთან შეიძლება იქნეს იდენტიფიცირებული კულაუროპა, შეიძლება განვიხილოთ სუჯუნა, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ქყონდიდელ ეპისკოპოსთა მამული იყო და საეკლესიო მამულადვე რჩებოდა XIX საუკუნის შუა ხანებამდე. კ. ბოროზდინის 1854-1861 წწ. მოგონებების ნიგნში სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ ვკითხულობთ: „საეკლესიო მამულში, დაბა სუჯუნაში ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ვაჭრები აქაური ებრელები იყვნენ, რომლებიც... წმ. გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდნენ. მათ შორის ყველაზე მდიდარი ცხაკუნია მიხალეიშვილი იყო“. კ. ბოროზდინის

¹ მემბრე, რელაციის ნაწილი (იხ. ნიგნში: პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 431).

² აფხაზავა, რიონი.

³ კულაში, ძსპ.

მიხედვით, ებრაელი სოვდაგარი აქ ყიდულობდა აბრეშუმსა და სტამბოლში გაჰქონდა გასაყიდად.¹ საქართველოში ებრაელებით დასახლებულ თითქმის ყველა პუნქტს ჰქონდა სინაგოგა, მათ შორის, სუჯუნასაც.²

მემბრეს თანახმად, XVI საუკუნის 30-იან წლებში დასახლებული ბაზრობის ადგილი, ე. წ. კულაუროპა, მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად მნიშვნელოვანი ებრაული თემით არის წარმოდგენილი: „ის არის დაბლობზე, ტყიანში, სადაც არის დაახლოებით 50-მდე ხის სახლიც. ამ ადგილზე სახლების მფლობელთა უმრავლესობა ებრაელები არიან... მოედნის შუაგულში, სადაც ბაზრობაა გამართული, დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სპილენძის თაღითა და ორი პატარა სამრეკლოთი. იბერები ატარებენ წირვას. ეკლესიის გარეთ დგას ხის ანძა, რომელშიც სამი თუ ოთხი ხანჯალი [...] და ორი ხმალი არის ჩარჭობილი... ამ ბაზარში ბევრი ღარიბი ადამიანი მოდის, ასევე სხვა იბერიელი ვაჭრები აბრეშუმით, რომელსაც ისინი ცვლიან, ქსოვილს ქსოვილზე, ყოველგვარი ფულის გამოყენების გარეშე. ეს ბაზრობა სამ დღეს გრძელდება და მერე ყველა მიემგზავრება. აქ მხოლოდ რჩებიან ის მოხსენიებული ებრაული ოჯახები და 10 თუ 12 მეგრული ოჯახი“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული სავაჭრო ადგილების ეკონომიკური პოტენციალის, საზოგადოებაზე მისგან გამომწვეული გავლენების ისეთ დეტალურ აღწერას, როგორც მიკვლე მემბრემ შემოგვთავაზა, იმ პერიოდის არცერთი სხვა წყარო არ იცნობს. მისი წყალობით მკითხველის თვალწინ ჩვენი ქვეყნის XVI საუკუნის ძალიან მეტყველი სურათი იშლება – საქართველო ნედლი აბრეშუმის მომწოდებელ ქვეყნადაა წარმოდგენილი და, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი და მიმდებარე მხარე საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ამ ნედლეულის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანაში.

საგულისხმოა, რომ ევროპელი ავტორის პერსპექტივიდან XVI საუკუნის პირველი ნახევრის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველო მულტიეთნიკური და მულტიკულტურულია. მემბრეს თხზულები-

¹ ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებები*, გვ. 234.

² ქართველ ებრაელთა სინაგოგების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის “Путеводитель посланников из Палестины на Кавказ”, რომლის მიხედვით XIX საუკუნის ბოლოსთვის ქუთაისში იყო სამი სინაგოგა, თითო – ლეჩხუმსა და სუჯუნაში. საქართველოში ებრაელთა კომპაქტური დასახლება, როგორც წესი, ხდებოდა სინაგოგის სიახლოვეს. სინაგოგა წარმოადგენდა იმ ცენტრს, ღერძს, რომლის გარშემო შენდებოდა ებრაული სახლები, მათთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურით. სამლოცველო წარმოადგენდა ებრაული ცხოვრების ეპიცენტრს, სადაც მიმდინარეობდა არა მხოლოდ კულტის მსახურება, არამედ აგრეთვე ბავშვებისთვის თორისა და ებრაული ტრადიციების სწავლება, ჯამათის ყველა საჭირობო საკითხის განხილვა-გადანყვეტა (წინუაშვილი, *ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან* [1915-1926 წწ.], გვ. 20-21).

დან ჩანს, რომ საქართველოს პრაქტიკულად ყველა ქალაქში, სადაც კი მას მოუწია ყოფნამ, ცხოვრობენ ებრაელები, სომხები და ტრაპიზონელები, მათ უძრავი ქონებაც გააჩნიათ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სოფლის ტიპის დასახლებაც, რომელსაც იქ არსებული ბაზრობის დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მის საზღვრებს გარედანაც სტუმრობენ ვაჭრები, სტუმრებისგან დაცლის მერეც კი საკმაოდ მულტიეთნიკურია (ცხოვრობენ მეგრელები, ქიოსელი ბერძენი, ვენეციელი, ებრაელთა სოლიდური თემი¹): „ამ კულაუროპაში მე ვიპოვე კაცი სკიოდან² სახელად ზანე, რომელიც დაქორწინებული იყო აქ ასაკოვან მეგრელ ბანოვანზე. ამიტომაც³ დამპატიჟა თავის სახლში. მე ასევე აღმოვაჩინე სხვა კაცი, ვენეციელი, რომელიც დაოჯახებული იყო მეგრელზე. მას ერქვა ბერნარდო მოლინერი,⁴ ასე 45-ოდე წლისა, რომელმაც მომიყვა, რომ ვენეციაში მენისქვილე იყო და რომ სამეგრელოში ჰყავს სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთიც ქალი, რომელიც ასევე მეგრელზეა გათხოვილი“.⁵ მემბრეს ეს წყარო უნიკალურია იმით, რომ ტრადიციულად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების გარდა, რომლებიც საკმაოდ ინტეგრირებული იყვნენ ქართული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ პალიტრაში, აქ დასახლებული არიან ვენეციელებიც, რომლებიც საკმაოდ კარგად ჩანერიდან სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაში.

ზემოთ უკვე ნახსენები დასახლების – კულაუროპას – მაგალითზე გვამცნობს მემბრე ძალიან საინტერესო ფაქტს, რომელსაც ზუსტი ანალოგი (მით უფრო, XVI ს. გათვალისწინებით) არ ეძებნება სხვა ქართულ ან ევროპულ წყაროებში – კერძოდ, აქ მცხოვრები ებრაული თემის მიერ ებრაელებად აღზრდილი/გაებრაელებული მეგრელების შესახებ. ავტორი წერს: „ამ ადგილზე სახლების მფლობელთა უმრავლესობა ებრაელები არიან. ეს ებრაელები ყი-

¹ ქართული წყაროები ბიზანტიის იმპერიიდან ებრაელთა დასავლეთ საქართველოში ჩამოსვლას VI საუკუნეს მიაკუთვნებენ; დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვეობაშიც კი ქართველი ებრაელები უმეტესად ცხოვრობდნენ ქუთაისში, კულაშში, ონში, საჩხერეში, სენაკში, ზუგდიდში (იხ. მეტრეველი, *ებრაელები საქართველოში*, გვ. 26-31).

² იტალიური სახელწოდება ეგეოსის ზღვაში ზომით მეხუთე დიდი ბერძნული კუნძულ ქიოსი/ხიოსისა, რომელიც ახლოს მდებარეობს ანატოლიის დასავლეთ სანაპიროსთან.

³ რელაციის პირველი ნაწილიდან ვიცით, რომ დღევანდელი თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავლისას მემბრე თავს ბერძნად ასალებდა; ვინაიდან ძალიან კარგად ფლობდა ბერძნულს, არ უჭირდა, რომ ბერძნებზე დაერწმუნებინა ამაში.

⁴ ორიგინალური ტექსტის კომენტატორის განმარტებით, ეს ნიშნავს მენისქვილეს (იხ. Membre, *Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42*, p. 14).

⁵ მემბრე მ., რელაციის ნაწილი (პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 429-430).

დულობენ მეგრული წარმოშობის მონებს¹ და აქცევენ მათ ებრაელებად. ამ საქმეში მეგრელები მათ უარს არ ეუბნებიან“.² სამწუხაროდ, მემბრე მეტ კონკრეტიკას არ გვთავაზობს, იმ თვალსაზრისით, თუ რას გულისხმობს ფრაზაში – „აქცევენ ებრაელებად“. რისი თქმა სურს ამით მემბრეს? – აქ იგულისხმება რელიგიის ცვლა და წინადაცვეთის წესი, ებრაული ენის შესწავლა თუ რაიმე სხვა? ვინაიდან პირველწყარო მეტს არაფერს გვეუბნება, საკუთარი ვარაუდების იმედად ვრჩებით. „აქცევენ ებრაელებად“ – ეს ყველაზე მეტი ალბათობით იუდაიზმზე გადასვლაა, რაც ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ამის შემდეგ იქნებოდა რელიგიით ებრაელი. იუდაიზმის მიღება მეგრელისათვის არ იქნებოდა არანაირი უბედურება იმასთან შედარებით, რაც იყო თურქებზე გაყიდვა და სამუდამოდ გადაკარგვა; მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველი ხელისუფალნი საკმაოდ აქტიურად ავითარებდნენ მთელი შუა საუკუნეებისთვის ტიპურ მოსაზრებას იესო ქრისტეს ნათესაობასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, XVII საუკუნის შუახანებში, კერძოდ, 1646 წელს, იმერეთის მეფე ალექსანდრე III ქუთაისში მასთან მყოფ დონ კრისტოფორო კასტელის ეუბნება, რომ „...ისინი (ქართველები) ისრაელის მეფეების, დავითისა და სოლომონის ჩამომავლები არიან და ქრისტეს მშობელს ენათესავებიან“.³ ამავე ავტორის ჩანახატების ალბომის, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ კასტელის ალბომის 75-ე სურათს აქვს წარწერა, სადაც იმერეთის მეფე ალექსანდრე III კასტელის ეუბნება: „თურქები, ასევე სპარსელები... ვერ დაანგრევენ [ვერ დაამარცხებენ მათ – ავტ.] ... რადგან წინასწარმეტყველი დავითისაგან მომდინარეობს ჩვენი შტო...“.⁴ ვინაიდან აზროვნების ეს შუასაუკუნეობრივი ისტორიული მოდელი საქართველოში აქტიურად მოქმედებდა XVII საუკუნეშიც, სავარაუდებელია, რომ ის ცირკულირებდა არა მხოლოდ გვირგვინოსნებს, არამედ ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების მმართველებს შორისაც; მით უფრო, ეს მოდელი საკუთარი გამორჩეულობის ხაზგასასმელად კარგი საშუალება იქნებოდა ისეთი ამბიციური მმართველებისთვის, როგორიც ლევან I და ლევან II დადიანები იყვნენ (მემბრეს და ლამბერტის თანამედროვეები – ავტ.).

¹ ამ კატეგორიის ადამიანებთან მიმართებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ტერმინები – „ტყვე“, „ტყვის სყიდვა“, თუმცა ევროპელები მათ მონებად განიხილავენ. წყარო (მემბრე, იხ. დასახ. ნაშრომში: პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*) არაფერს ამბობს, ამ კონკრეტულ პერიოდში ვინ ჰყიდდა მეგრული წარმოშობის ტყვეებს სამეგრელოში.

² იქვე.

³ ლიჩინი, *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში*, გვ. 122.

⁴ კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, გვ. 96.

ამგვარი ისტორიული მახსოვრობის გამოძახილად ალბათ ის უნდა მივიჩნიოთ, რასაც წერს ლამბერტი თავის „წმინდა კოლხეთში“ (Colchide Sacra) – იგი დარწმუნებულია, რომ კოლხებმა უფლის ჭეშმარიტი სიტყვები ებრაელებისაგან მიიღეს, ანუ კოლხებმა ებრაელებისაგან შეიმეცნეს ჭეშმარიტი ღმერთი.¹

ჩვენ დაზუსტებით არ ვიცით, საიდან მოაქვს ეს დასკვნა ლამბერტის, მასაც ჰქონდა თუ არა საუბარი ლევან მეორე დადიანთან, ისევე, როგორც კასტელის – იმერეთის მეფესთან. ეს სულაც არაა გამორიცხული, იმის გათვალისწინებით, რამდენი ხანიც ცხოვრობდა ლამბერტი სამეგრელოში და რამდენად იყო იქ არსებული მისიონი დადიანისგან დავალებული. თუმცა, ისტორიული მახსოვრობის ეს მოდელი,² როგორც ჩანს, მოსახლეობაზეც აქტიურად მოქმედებდა და, უცხო არ უნდა ყოფილიყო წინა, XVI საუკუნეშიც. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, შეიძლება მემბრეს ფრაზა ამგვარად გავიგოთ: ებრაელები ყიდულობენ გასაყიდად გამოყვანილ მეგრულ ტყვეებს, ისინი იღებენ იუდაიზმს და ამაში მეგრელები ებრაელებს წინააღმდეგობას არ უწევენ. ასეთ მეგრულს შვილი, ძმა ან ნებისმიერი თავისიანი აქვე ჰყავს და ამით ებრაელს უნათესავდება კიდევაც, რაც მართებულად მიაჩნია, მით უფრო, რომ მეფეები ან მთავრები ამ „ნათესაობას“ ხაზს უსვამენ. მეორე მხრივ, აქ უფრო მეტად ეკონომიკური ინტერესი უნდა დავინახოთ – ტყვედ ჩავარდნილ და გასაყიდად გამზადებულ ადამიანს ან მის ოჯახს არც თავდასახსნელი და/ან ოჯახის წევრის გამოსახსნელი ქონება არ გააჩნდა; ხოლო აქვე მცხოვრები, ისტორიული მეხსიერებით „ქრისტესმიერ ნათესავად“ მოაზრებული ებრაელი ვაჭარი, რომელიც შეძლებულიც იყო, მისთვის ბევრად მისაღებად მიიჩნეოდა. ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია, რომ ამას წინადაცვეთის პრაქტიკა მოჰყოლოდა საქართველოში. თუმცა, მონობისთვის განწირული ადამიანისთვის ეს ძნელად წარმოსადგენი შეიძლება სულაც არ ყოფილიყო. ოსმალთა იმპერიის სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილს, გამაჰმადიანებულს განა იგივე არ ელოდა? თუმცა,

¹ Lamberti, *Colchide Sacra*, გვ. 11-12 (მიუხედავად იმისა, რომ „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანი არსებობს ბეჭდური სახით, წიგნის გამოქვეყნებულ ვერსიაში [არქანჯელო ლამბერტი, *წმინდა კოლხეთი*, იტალიურიდან თარგმნა გ. ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებები და საძიებლები დაურთო დ. მერკვილაძემ, თბილისი, 2020, გვ. 42] აღნიშნული ფრაზა სხვა შინაარსითაა წარმოდგენილი, რაც თარგმანის პრობლემა არ გვგონია. ჩვენ ვსარგებლობთ „წმინდა კოლხეთის“ ამ ადგილის ბეჟან გიორგაძისეული ხელნაწერის თარგმანით, რომელიც მოგვანოდა მურმან პაპაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

² ელ. მამისთვალიშვილის თანახმად, ებრაელთა საქართველოში მოსვლასთან დაკავშირებით ქართული საისტორიო ტრადიცია წინააღმდეგობრივია, თუმცა პრო-ებრაული. დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად შეექმნება შთაბეჭდილება, რომ ძველი ავტორების მიზანი იყო ებრაელთა მოსვლა საქართველოში წარმოესახათ, როგორც დადებითი მოვლენა ქართველი ხალხის ისტორიაში (მამისთვალიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 24).

ამ „მონად გაყიდული მეგრელის“ შემთხვევაში, რადგან აქვე რჩებოდა, სავარაუდოდ, ებრაელები არც მიმართავდნენ წინადაცვეთის პრაქტიკას, რამდენადაც ეს მეგრელებისთვის უჩვეულო იყო. კიდევ უფრო საეჭვოდ მიგვაჩნია მემბრეს ფრაზა – „აქცევენ ებრაელებად“ – ისე გავიგოთ, თითქოს შესყიდულ მეგრელ ტყვეებს ებრაული ენის სწავლა უწევდათ. ამის საჭიროება არ იყო, რადგან აქ მცხოვრებმა ებრაელმა ისედაც იცოდა მეგრული. მათ შორის საკომუნიკაციო ენა მეგრული იყო.

„ტყვის სყიდვის“ ცნობილი პრაქტიკა, რომელიც მემბრესაც აქვს ნახსენები სამეგრელოს ზღვისპირეთზე საუბრისას („...ყიდიან ბევრ მონას..“), ადგილობრივი თუ უცხოური მასალის შესაბამისად, გულისხმობდა ამ ე. წ. ცოცხალი პროდუქციის იმ ქვეყნიდან გაყვანას, სადაც მათ ყიდულობდნენ. მართალია, არქანჯელო ლამბერტი წერს: „თურქები როგორც კი იყიდიან ამათ [საუბარია მეგრელ ტყვეებზე – ავტ.], მაშინვე თურქულად ჩააცმევენ, და ნიშნად მათის ცრუ რჯულის მიღებისა, აანევენებენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევენებენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიან თურქთა რჯულის წესს და რიგს. ამას სჩადიან ქრისტიანთა წინაშე და ქრისტიანთა ქვეყანაში, ვიდრე კონსტანტინოპოლში წავიდოდნენ“.¹ როგორც ვხედავთ, მცდელობასა და პრაქტიკას, რომ საკუთარი იდენტობა დაავიწყონ და დაატოვებინონ, მონებად ნაყიდ ადამიანებთან მიმართებაში ოსმალების მხრიდან სამეგრელოს ტერიტორიაზევე ჰქონდა ადგილი. თუმცა, აქ მაინც საუბარია წასაყვანად გამზადებულ ტყვეებზე, რომლებსაც აღარასდროს ექნებათ შანსი მშობლიურ გარემოში დაბრუნებისა. მემბრეს მიერ მოყვანილი ცნობის შესაბამისად კი, „მონად ნაყიდ მეგრელებს“ საქართველოში, მეტიც, იმავე სამეგრელოს ტერიტორიაზე ტოვებენ და კულაუროპაში მცხოვრები ებრაული ოჯახები ებრაელებად აქცევენ.

თუკი ებრაელები ტყვეებს ყიდულობენ, ისმის შეკითხვა – რაში სჭირდებათ მათ „მონის“/შინამოსამსახურის² („მოინალეს“) გაებრაელება? ებრაელისთვის „მიყიდული მეგრელი“, რომელმაც იუდაიზმი მიიღო, რანაირად იქნება მონა? ეს ხომ ებრაელისათვის უკვე არის წარმოშობით არაებრაელი, მაგრამ მაინც ებრაელი. არანაკლებ საინტერესოა ამ ცნობის კიდევ ერთი ასპექტი, რომ მეგრელები „ამ საქმეში მათ ხელს არ უშლიან“. თავად ეს ფრაზა, ჩვენი მოსაზრებით, XVI-XIX სს. საქართველოში ფართოდ გავრცელებული „ტყვის სყიდვის“ იმ ფაქტორს გამოკვეთს, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონები მონებით ვაჭრობის საერთაშორისო ქსელში აღმოჩნდა ჩართული,

¹ ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, გვ. 146.

² სავარაუდოდ, „მონა“ ამ შემთხვევაში „მოსამსახურედ“, „მოინალედ“ გაყიდულს ნიშნავს. ძირითადად ყიდდნენ ყმებს, სოციალური, იურიდიული თვალსაზრისით უუფლებოს (მეგრულად „მოინალე“ „შინამოსამსახურეს“, სხვის მოსამსახურეს ნიშნავს) [ავტ.].

რომელიც წინა, XV საუკუნეში გენუა-ვენეციის დომინაციით მიმდინარეობდა შავი ზღვის არეალში, ხოლო ტრაპიზონისა და ყირიმის ტერიტორიის აღებობით ოსმალებმა გადაიბარეს. რაც უფრო კნინდება საქართველოს (მეტადრე, დასავლეთ საქართველოს) ეკონომიკური¹ და, ცენტრალიზებული მონარქიის დაშლის შემდეგ, პოლიტიკური წონაც, მით უფრო მატულობს ქართველების რაოდენობა „მონებად“ გაყიდულთა შორის. ამასთანავე, იმ დროს, როცა ერთიანობადარღვეული საქართველოს დასავლეთ რეგიონებს, მაგალითად, ამ პერიოდის კახეთისგან განსხვავებით, არა აქვთ აბრეშუმის ან სხვა ისეთი საქონელი, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის სავაჭრო ქსელში ჩაებმება და მიმზიდველი პროდუქტი იქნება, სამწუხაროდ, ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი ამ მიმართულებით ცოცხალი ადამიანები აღმოჩნდნენ.

აღნიშნული საკითხის მართებული გააზრებისთვის ეკონომიკური ფაქტორის ხაზგასმად, ისევე როგორც მემბრეს რელაციონიდან საკვლევად გამოტანილი მონაკვეთის ირიბ დადასტურებად მიგვაჩნია ავგუსტინელი ბერის, წარმოშობით პორტუგალიელი ამბროსიო დუშ ანჟუსის² ერთი ცნობა, რომელსაც თავის ნაშრომში ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ელ. მამისთვალისშვილმა.³ 1640 წელს გორიდან რომში გაგზავნილ დუშ ანჟუსის წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი მონაზვნები ამ ქრისტიანებში (ე. ი. ქართველ მართლმადიდებლებში) დიდის სიკეთის ქმნას შეიძლება რამდენისამე სოფლის ყიდვით, როგორც შვრებიან სომხები. თუმცა ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვთ სომხებისა სარწმუნოების მხრივ, გარნა როდესაც მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე. ამაზე უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა მდიდარმა ურიებმა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, გააურიავეს თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ქართველები უეჭველად დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინურ წესსა, თუ ჩვენი ყმები გახდებიან“.⁴

მემბრეს თხზულების მიხედვით, საქართველოს და, მათ შორის, სამეგრელოს ტერიტორია არა მხოლოდ მულტიკულტურულად, არამედ საკმაოდ

¹ „დასავლეთევროპული ხელოსნური ნაწარმის მოზღვავებამ დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის დონე დააკნინა. საქართველოს საზღვაო ექსპორტში უკვე აღარ გვხვდება ხელოსნური ნაწარმი. შემოტანილი საქონლის ღირებულება ბევრად მეტი იყო, ვიდრე ზღვით უცხო ქვეყნებში გატანილი ქართული ნაწარმისა. წარმოიშვა სავაჭრო დეფიციტი. ამის შედეგი იყო ის, რომ XV საუკუნიდან გვხვდება საქართველოდან ტყვეთა სყიდვის პირველი შემთხვევები“ (იხ. ბერაძე, *ზღვაოსნობა საქართველოში*, გვ. 215).

² ამბროსიო დუშ ანჟუსი გორში ცხოვრობდა 1620-1640 წლებში და ყურადღებით სწავლობდა რელიგიურ ცხოვრებას ქართლის სამეფოში (იხ. მამისთვალისშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 170).

³ მამისთვალისშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 170.

⁴ იქვე; ასევე იხ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, გვ. 236.

ტოლერანტულადაც გამოიყურება. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ავთენტური ქართული წყაროები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ღია ან ჩაკეტილი იყო საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში XVI საუკუნეში მცხოვრები ებრაული თემი, რამდენად ხდებოდა ქორწინებითი კავშირები ან რელიგიის შეცვლის ნებაყოფლობითი შემთხვევები ამ ორ ჯგუფს შორის. ეს საკითხები ჯერ კიდევ საკმაოდ სერიოზულად საკვლევია.¹ თითქოს ებრაელებსა და ებრაული იდენტობის შენარჩუნებაზე მსჯელობა საყოველთაოდ გაზიარებული მოცემულობიდან გამომდინარეობს ხოლმე – რომ ებრაელები თავიანთ რელიგიას მტკიცედ უფრთხილდებოდნენ და არც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ქორწინებას მიესალმებოდნენ, ამიტომ ყველა ქვეყანაში, ქრისტიანული იქნებოდა თუ მუსლიმური, შეინარჩუნეს თავიანთი თემები.² თუმცა, „დოკუმენტებმა შემოგვინახა საინტერესო პირდაპირი ან ირიბი ცნობები ებრაელთა გაქრისტიანების და პირუკუ პროცესისაც კი, რაც შორს იყო ყოველგვარი ძალადობისგან“.³

მეტი სიცხადისთვის, იმისთვის, რომ მკითხველს არ ეგონოს, თითქოს მემბრეს ინფორმაციაში აპრობირი რაიმე გაზვიადება ან გადაჭარბებაა, უნდა აღინიშნოს, რამდენად მიუკერძოებელია თავად ავტორის პიროვნება. მას აქვს მკაფიო მისია – ვენეციელი დოჟის წერილი ნებისმიერ ფასად სეფიანების კარზე ჩაიტანოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთელი გზა – ეგეოსის ზღვის არქიპელაგიდან თავრიზამდე – ანატოლიაში იქნებოდა, ყირიმში თუ საქართველოს ტერიტორიაზე, იგი ყველასთან ბერძენ ვაჭრად ასალებდა თავს და იმდენად კარგად ართმევდა თავს საკუთარ როლს, რომ ეჭვი მის ვინაობაში არასდროს არავის შეუტანია. მისი საქმე არ იყო რაიმე მორალური დილემები ან პოლიტიკური შეფასებების გაკეთება და არც აკეთებს ამას; ის პირუთვნელად აღწერს ყველაფერს, რასაც ხედავს; მის რელაციონს ახასიათებს ე. წ. სნეპშოტის მეთოდი. გზა საქართველოზე გავლით იმიტომ აირჩია, რომ ანატოლიაზე გამავალი საქარავნო გზა XVI საუკუნის შუახანებში, ოსმალეთ-სეფიანების მორიგი დაპირისპირების რაუნდის დროს, ჩაიკეტა და სხვა გამოსავალი მას არ დარჩა. ამდენად, მემბრეს რელაციონის აღნიშნული პასაჟი რაიმე მიკერძოებულ აზრს, მით უფრო, გამიზნულად ნათქვამ ტყუილს პრაქტიკულად გამოორიცხავს. არც მოტივი და არც საჭიროება ავტორს საამისოდ არ ჰქონდა.

აქ ორი ვარიანტი რჩება: 1. ხომ არა აქვს ადგილი ავტორის მიერ მეგრელებში არსებული გაშვილება-გაძიძვების ტრადიციის არასწორად გაგებას? როგორც ცნობილია, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით სამეგრელოში ძველად გავრცელებული იყო გაძიძვება, რაც ხელს უწყობდა ღარიბსა და შეუძლო გლეხს დაახლოვებოდა შეძლებულ ოჯახს, რომელსაც შეეძლო მის-

¹ ბერიძე, *ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაში*.

² ჭიჭინაძე, *ქართველთა ისრაელნი საქართველოში*.

³ მამისთვალისძვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 9.

თვის დახმარების განწევა და მფარველობა. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ უყვარდათ გაძიძავებულებს აღმზრდელი ძიძა და მისი ოჯახი. ს. მაკალათია წერს, რომ ბავშვის აღმზრდელებს მებატონისგან თავის დახსნაც კი შეეძლოთ, თუ იკისრებდნენ მისი შვილის აღზრდას.¹ როგორც მკვლევარი შენიშნავს, საგულისხმოა, რომ „არა მარტო თავადს ან აზნაურს სთხოვდა გლეხი შვილს გასაზრდელად, არამედ შეძლებულ ვაჭარსა და მოხელესაც“.² თუმცა, ამ ალტერნატივას ნაკლებ სარწმუნოდ მივიჩნევთ – მემბრეს მიერ აღწერილი შემთხვევა მაინც ნაკლებად ტოვებს განცდას, გაძიძავების ამ სპეციფიკური ტრადიციის (როცა ბავშვი პრაქტიკულად წყდება მშობლებს – ავტ.) თუნდაც დამახინჯებულად აღქმასთან გვექონდეს საქმე. მით უფრო, რომ საკითხში გარკვევა მემბრეს სუსტი მხარე ნამდვილად არ იყო.³

ჩვენ უფრო მეორე ალტერნატივისკენ ვიხრებით, კერძოდ, მემბრეს მიერ აღწერილი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ, სავარაუდოდ, პრაქტიკა ებრაული თემის ქართული ელემენტით შევსებისა, არსებობდა; მით უფრო, რომ მკვლევარი ელ. მამისთვალისშვილი თავის ნაშრომში ებრაელების სამ კატეგორიაზე საუბრობს: „ებრაელებს, საერთოდ, სამ ჯგუფად ყოფენ: 1. დაბადებით და რელიგიით ებრაელი, 2. ებრაელი რელიგიით, მაგრამ არა წარმოშობით და 3. ებრაელი წარმოშობით და არა რელიგიით“.⁴ მკვლევრის ცნობით, „საქართველოში მცხოვრებ შედარებით შეძლებულ ებ-

¹ მაკალათია, *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*, გვ. 277.

² იქვე, გვ. 277.

³ მემბრეს რელაციონის ინგლისურად მთარგმნელს ვრცელი წინასიტყვაობა აქვს დართული ავტორის შესახებ (pp. vii-xxvii), როგორ, რა პირობებით და წინამორბედთა თავს გადამხდარი რა შემთხვევების მიუხედავად აიღო მან თავზე ესოდენ სარისკო მისია. თავად რელაციონის სრული ვერსიის გაცნობაც ადასტურებს ამ მოსაზრებას (იხ. Membre, *Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42*).

⁴ მამისთვალისშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 43 (ამასთან, ანთროპოლოგიურ მონაცემებზე საუბარის დროს, რომლებიც კავკასიელი ებრაელების ქართველებთან სიახლოვეზე მიუთითებენ, მკვლევარს სამუშაო ჰიპოთეზის სახით მოცემული აქვს შემდეგი მოსაზრება: „ა. ალბათ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ქართლში მოსული ებრაელები ნაწილობრივ მაინც შეერივნენ მკვიდრ მოსახლეობას, რაც მოხდებოდა შემდეგნაირად: ებრაელებმა ქართლში მოიტანეს იუდაიზმი. ეს რელიგია მონოთეისტურია და შეიძლება გავრცელებულიყო ადგილობრივ მოსახლეობაში. იუდაიზმზე გადასული ადამიანი, როგორც ამჟამად, ისე იმ შორეულ წარსულში, ებრაელად ცხადდებოდა. რელიგიურმა ერთობამ ნებადართული გახადა ებრაელებსა და გაებრაელებულ ქართველებს შორის ქორწინება, რამაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოაყალიბა ანთროპოლოგიურად განსხვავებული ნიშნების მქონე ქართველი ებრაელი, რომელიც თავის მხრივ კავკასიელი ებრაელების საფუძველი გახდა... ბ. პირველი საუკუნიდან ქართლში ვრცელდება ქრისტიანობა... ამჯერადაც პიონერები ებრაელები [იგულისხმებიან ის ქართველებიც, რომლებმაც იუდაიზმი მიიღეს] იყვნენ. ებრაელთა ერთი ნაწილი [როგორც წარმოშობით ებრაელები, ისე გაებრაელებულნი] იუდაიზმის ერთგული დარჩა, ხოლო მეორენი გაქრისტიანდნენ, რაც გაქართველების ტოლფასი იყო. ამიტომაც შეიძლება გვექონდეს სიახლოვე ქართველსა და ებრაელს შორის ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით“ [იქვე, გვ. 69]).

რაელებს ჰყავდათ ნაყიდი ქრისტიანი ბავშვები, რომელთა იუდაიზმზე გადაყვანა პრაქტიკულად შესაძლებელი იყო, ალბათ ასეთ შემთხვევებზე უნდა მიუთითებდეს ებრაელთა ეთნონიმური გვარები – ურიაშვილი, ბინიაურიშვილი, ისრაელაშვილი“.¹ მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში არაერთგან სახლობდა ებრაული თემი, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, მათაც ჰქონდათ საჭიროება ებრაული თემი რაოდენობრივად (არა მხოლოდ რეპროდუქციულად) გაზრდილიყო. ამის ზუსტი მიზეზის დადგენა ძნელია.² ხომ არ იყო ამ შემთხვევაში სულაც ეკონომიკური მოტივი პრიორიტეტული – ნედლი აბრეშუმით ვაჭრობასა და მის ექსპორტში კონკურენცია მრავალრიცხოვან სომეხ ვაჭრებთან?³ ჩვენი მოსაზრებით, ეს საკითხი ჯერ კიდევ ელის მკვლევრებს. თუმცა, ერთი მხრივ, ფაქტი, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთან მიმართებით შეიძლება საუბარი კონკრეტულ კატეგორიაზე – „ებრაელი რელიგიით, მაგრამ არა ნარმოშობით“, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველგვარი მოტივაციისგან დაცლილი მახვილი თვალის დამკვირვებლის ცნობა, რომ მეგრელები აგრძელებენ უმტკივნეულო თანაცხოვრებას თვისტომის, მეტიც, ოჯახის წევრის „მყიდველთან“, რომელიც მათ უცვლის საქართველოშივე სარწმუნოებას და, იმ ეპოქის გათვალისწინებით, ეროვნებასაც, მეორე ვერსიას (ებრაული თემის ქართული ელემენტით შევსების პრაქტიკას – ავტ.) უფრო სარწმუნოს ხდის ჩვენთვის.

¹ მამისთვალშიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 173.

² ნ. ბერძენიშვილი წერდა: „გვიანფეოდალურ საქართველოში ებრაელთა მოსახლეობის შემცირების საკითხში ჩვენი საბუთები ერთ განსაკუთრებულ გარემოებას აღნიშნავენ. საერთო მიზეზების გვერდით, რომლებიც ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის საერთო შემცირებას იწვევდნენ, ჩვენი საბუთები ებრაელთა ასიმილაციას გარკვევით უჩვენებენ. ჩვენ სხვა მოწმობებიც მოგვეპოვება, ხოლო ეს საბუთები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სხვა და სხვა პირობების გამო, ებრაელები საქართველოში ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ დაეტოვებინათ მამაპაპური წესი და გაქართველებულიყვნენ“, ე. ი. გაქრისტიანებულიყვნენ. მართალია, ჩვენ ზოგჯერ ისეთი ცნობებიც გაგვაჩნია, როცა ებრაელი მებატონის ქრისტიანი ყმა 'გაურიავდა' ე. წ. მოსეს სარწმუნოება აღიარა, მაგრამ უეჭველია, პირუკუ შემთხვევები გაცილებით ხშირი იყო“ (*ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ* [პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით], გვ. 161).

³ ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ სომხური მიწებისა და მოსახლეობის როგორც ოსმალეთის, ასევე სეფიანურ ირანის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისა და, აგრეთვე, საქართველოში მათი დიდი კომპაქტური დასახლებების გამო, ასევე, მათი ქრისტიანული აღმსარებლობის გათვალისწინებით და სომხურ მიწებთან ტერიტორიული სიახლოვის მიზეზით, სომხურ თემებს სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით საქართველოში უფრო მყარი პოზიციები ეკავათ ვიდრე ებრაელებს? ამ შემთხვევაში ქართული ელემენტით შევსება ხომ არ შეიძლება ჩათვლილიყო ებრაული თემისთვის ხელშემწყობ ფაქტორად საქმიანობაში ადგილზე (დასავლეთ საქართველოში) ან საერთაშორისო ასპარეზზე?

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა – ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.

თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის – თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ – კასტელი დონ კრისტოფორო, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1976.

ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა – ლამბერტი დონ არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ი. ანთელავამ, თბილისი, 1991.

მემბრე, რელაცია სეფიანებთან მოგზაურობის შესახებ – მემბრე მიკელე, რელაცია სეფიანებთან მოგზაურობის შესახებ, იხ. წიგნში: მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე, საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, თბილისი, 2021 გვ. 423-442.

პაპაშვილი (და სხვა), საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში – მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე, საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, თბილისი, 2021.

შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში – შარდენი ჟან, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXXVIII), თბილისი, 1975 (<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/5198>).

ჯუდიჩე, რელაცია საქართველოზე – ჯუდიჩე დონ ჯუზეპე მილანელი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2014.

Lamberti, Colchide Sacra – Lamberti Archangelo, *Colchide Sacra*, Napoli, 1657 (ხელნაწერი, ბ. გიორგაძის თარგმანი).

Membre, Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42 – Membré Michele, *Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42* (trans. and ed. by A. H. Morton), London, 1993.

Membre, Relazione di Persia (1542) – Membré Michele, *Relazione di Persia (1542)*, Studi e Materiali Sulla Conoscenza Dell'Oriente in Italia, Presentazione di Gianroberto Scarcia, Istituto Universitario Orientale, Napoli, 1969.

აფხაზავა, რიონი – აფხაზავა ი., რიონი, ძსპ, ტ. 8, თბილისი, 1984, გვ. 394.

ბერაძე, ზღვაოსნობა საქართველოში – ბერაძე თ., ზღვაოსნობა საქართველოში (საქართველოს ისტორიის პალიტრა, ტ. 4), თბილისი, 2022.

ბერაძე, ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით – ბერაძე თ., ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მაცნე, იაქსს, 1971, №3, გვ. 148-154.

ბერიძე, ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაში – ბერიძე ი., ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაში, საგაზეთო სტატია, <https://netgazeti.ge/news/231253/>, 6 ნოემბერი, 2017.

ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებები – ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებები, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბილისი, 1934.

ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ (პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) – ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ (პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) სპიქსმ, ტ.1, 1940, გვ.157-246.

კულაში, ძსპ – კულაში, ძსპ, ტ. 6, თბილისი, 1983, გვ. 64.

ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში – ლიჩინი პ. ა., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მ. პაპაშვილმა, თბილისი, 2009.

მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია – მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, თბილისი, 1941.

მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა – მამისთვალიშვილი ელ., ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა, თბილისი, 1995.

მეტრეველი, ებრაელები საქართველოში – მეტრეველი რ., ებრაელები საქართველოში, თბილისი, 2002.

წინუაშვილი, ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.) – წინუაშვილი შ., ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.), სპიქსმ, შრომები, IX, 2014, გვ. 9-167.

ჭიჭინაძე, ქართველთა ისრაელნი საქართველოში – ჭიჭინაძე ზ., ქართველთა ისრაელნი საქართველოში, თბილისი, 1904 (<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6161/1/kartvelt%20israelni%20sakartveloshi.pdf>).

**Unknown Details of the “Georgian Jewish” Community and
Georgian-Jewish Relationship according
to the Notifications of Michele Membre**

Summary

The presented article refers to the understanding of specific passages from the 16th century Cypriot Venetian, Michele Membre’s “Relation”. Membre’s essay, besides its main goal (gathering detailed information about the Safavids for Venice governing circles), allows us to justify some statements about the Georgian states in a new way in the context of European-Eastern relations, it also clarifies some facts or makes new assumptions, including Georgian-Jewish co-existence.

Membre, sent as a secret convey to establish an alliance against the Ottomans, changed his route and had to enter Iran through a detour, so he ended up in Georgia. Membre, who came from Kafa by sea, disguised himself as a Greek merchant and visited the important territory of both western and eastern Georgia. The author is a sharp-eyed, neutral observer, who offers a scrupulous description of what he has seen rather than an evaluation-analysis of events. However, since all aspects of public life are in the field of interest of the risky and smart agent, the information he collected is quite complex.

The part of the report, which concerns Georgia, sheds light on the circumstances of the structure of Georgian society in the 16th century; and what markers of identity the people of different ethnic groups living in Georgia had at that time. Besides, by comparison with the local material, it allows us to identify Georgian settlements, referred to as places of silk trade in Western Georgia. According to the author, it is represented by a significant Jewish community together with a small Georgian population. No other source of that period (besides provided by Michele Membre) is aware of such a detailed description of the economic potential of the trading places in Georgia, and the effects caused by it on the society. Thanks to him, a very impressive picture of our country of the 16th century will unfold before the eyes of the reader – Georgia is identified as a country that supplies raw silk and, at the same time, there is a clear reference to the vicious practice of the slave trade in the Black Sea region in the late Middle Ages, which gained more influence under conditions of reinforcement of the Ottomans.

It is noteworthy that from the perspective of an European author, Georgia is depicted as a tolerant and multicultural country. From Membre’s writings, it can be

observed that Jews, Armenians and Trabzonites live practically in all cities of Georgia, and they also own real estates. It is particularly interesting that the village-type settlement, which is visited by merchants from different parts of Georgia and outside its borders during the market time, is quite multi-ethnic even after it is emptied of guests (Megrelians, Greeks from Chios, Venetians, and a substantial Jewish community live there).

On the example of the same settlement, Membre informs us of a very interesting fact, that is not found in other Georgian or European sources; namely, about Megrelians who were raised as Jews by the Jewish community living here. Therefore, the mentioned passage from Membre's *relazione* (based on comparison with Georgian material) allows us to make interesting assumptions about the author's misunderstanding of the tradition of adoption among the Megrelians, as well as the probability of infusing the Georgian elements in the Jewish community.